

შპს „ევერესტი 2010“
ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგაროშო
პერიოდისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	11
1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
5. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	20
7. გაცემული სესხები	20
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	20
9. ძირითადი საშუალებები.....	21
10. არამატერიალური აქტივები.	22
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	22
12. სესხები	22
13. შემოსავალი	23
14. რეალიზირებული მარაგების თვითღირებულება.....	23
15. მიწოდების და მარჯეტინგის ხარჯები.....	23
16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	23
17. მოგების გადასახადის ხარჯი.....	24
18. მოგება/ზარალი (საკურსო სხვაობიდან) -წმინდა	24
19. ფინანსური შემოსავალი/დანახარჯები	24
20. ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა რისკების მართვა.....	24
21. კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები.....	27
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
23. განუსაზღვრელი ვალდებულებები	28
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29
25. მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები.....	29
26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ევრესტი 2010“-ის ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ევრესტი 2010 (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ, ფაქტობრივად არსებული ტექნიკური მიზეზების გამო, ვერ შეძლო მის საკუთრებაში არსებული მარაგების ინვენტარიზაციის ჩატარება 2024 წლის ბოლოს, ვერც 2025 წლის დასაწყისში, არსებული მარაგის ოდენობიდან და ტერიტორიული მდებარეობიდან გამომდინარე, . შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის (2024 წლის) ბოლოს მარაგების ინვენტარიზაციაზე დაკვირვებით მარაგების რაოდენობების დადასტურება, რომლებიც კომპანიას აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული 31.12.2024 წ. მდგომარეობით - 2411346 ლარი. ეს ვერ მოხერხდა ვერც ალტერნატიული გზით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან და მის მოძრაობასთან დაკავშირებით.

კომპანიას საქმიანობის ფარგლებში წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნები. 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიამ აღიარა მოთხოვნა 11176566 ლარის ოდენობით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღრიცხვისას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებლად და შესაბამისი გაუფასურების ანარიცხის დასადგენად კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და შესაბამისი ანარიცხს ადგენს მენეჯმენტის ექსპერტული შეფასების საფუძველზე. იქიდან გამომდინარე რომ კომპანიას არ გააჩნია მოსალოდნელი ზარალის შეფასებისთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის სისტემა, ჩვენ ვერ მოვახერხეთ მენეჯმენტის მიერ გაკეთებული ექსპერტული შეფასების საფუძველზე განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ თანხებთან და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით. არსებული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება დებიტორული დავალიანების გაუფასურებასთან დაკავშირებით მოდიფიცირებულია

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ქონდა მოთხოვნა გაცემული სესხიდან 1158820 ლარის ოდენობით. აღნიშნული სესხი ექვემდებარებოდა გაუფასურებაზე შეფასებას მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. მენეჯმენტის შეფასებით სესხი არ არის გაუფასურებული და მოსალოდნელია მომავალში თანხის შემოსვლა კომპანიაში. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება რომ დავრწმუნებულიყავით სჭირდებოდა თუ არა კორექტირება წარდგენილ გაცემულ სესხს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩვენ აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) („IESBA“ კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მის ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან შპს „ევერესტი 2010“-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშის გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ოლეგი ნაჭყებია (SARAS-A-346157) -----

შპს იოანე და კომპანიი-ს (SARAS-F-237088) სახელით

ქ. ფოთი მ. კაცაძის ქუჩა N26/7

30 სექტემბერი 2025 წ

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ოლეგი ნაჭყებია (SARAS-A-346157)

შპს იოანე და კომპანია-ს (SARAS-F-237088) სახელით

ქ. ფოთი მ. კაცაძის ქუჩა N26/7

30 სექტემბერი 2025 წ

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	1/01/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	970 804	1 036 914	738 037
არამატერიალური აქტივები	10	117 300	149 291	181 282
გაყვანილობის სესხები	7	1 158 820	1 238 820	1 398 820
		2 246 924	2 425 025	2 318 139
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	83 201	134 076	87 215
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	11 176 566	11 714 409	10 642 215
მოკლევადიანი მარაგები	8	2 411 346	2 290 348	1 299 253
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	6	643 431	501 790	376 858
სხვა საგადასახადო აქტივი/ვალდებულება				152
		14 314 544	14 640 623	12 405 692
მთლიანი აქტივები		16 561 468	17 065 648	14 723 832
მთლიანი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2 687 659	4 683 211	6 647 590
		2 687 659	4 683 211	6 647 590
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	1 718 675	1 744 744	1 372 594
		1 718 675	1 744 744	1 372 594
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	11 743 915	10 212 486	6 468 155
სხვა საგადასახადო აქტივი/ვალდებულება		411 219	425 207	235 493
		12 155 135	10 637 693	6 703 648
მთლიანი ვალდებულებები		13 873 810	12 382 436	8 076 242
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		16 561 468	17 065 647	14 723 832

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: კ. მეტრეველი

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	ბუნიშნა	31/12/2024	31/12/2023	1/01/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	970 804	1 036 914	738 037
არამატერიალური აქტივები	10	117 300	149 291	181 282
გადეშული სესხები	7	1 158 820	1 238 820	1 398 820
		2 246 924	2 425 025	2 318 139
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	83 201	134 076	87 215
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	11 176 566	11 714 409	10 642 215
მოკლევადიანი მარაგები	8	2 411 346	2 290 348	1 299 253
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	6	643 431	501 790	376 858
სხვა საგადასახადო აქტივი/ვალდებულება				152
		14 314 544	14 640 623	12 405 692
მთლიანი აქტივები		16 561 468	17 065 648	14 723 832
მთლიანი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაკრედიტო "ზარალი")		2 687 659	4 683 211	6 647 590
		2 687 659	4 683 211	6 647 590
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	1 718 675	1 744 744	1 372 594
		1 718 675	1 744 744	1 372 594
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	11 743 915	10 212 486	6 468 155
სხვა საგადასახადო აქტივი/ვალდებულება		411 219	425 207	235 493
		12 155 135	10 637 693	6 703 648
მთლიანი ვალდებულებები		13 873 810	12 382 436	8 076 242
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		16 561 468	17 065 647	14 723 832

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

კ. მეტრეველი



შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

**მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ამონაგები	13	36 164 393	- 36 947 226
გაყიდვების თვითღირებულება	14	(22 983 270)	(24 125 510)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	16	(3 093 944)	(2 404 365)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	15	(6 883 813)	(6 712 523)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	16	(10 000)	(10 000)
საკონსულტაციო ხარჯი	16	(211 864)	(183 051)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	16	(10 075)	(8 875)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	16	(23 362)	(18 117)
იჯარის ხარჯი	16	(469 966)	(282 729)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	16	(46 192)	(47 659)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	16	(172 664)	(172 916)
სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(341 541)	(312 048)
საოპერაციო მოგება		1 917 702	2 669 434
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	18	(38 849)	(156 235)
საპროცენტო შემოსავალი	19	141 641	124 932
საპროცენტო ხარჯი	19	(170 152)	(134 274)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(104 477)	(55 258)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		1 742 865	2 448 599
მოგების გადასახადი	17	(570 733)	(650 964)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		1 172 132	1 797 635
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1 172 132	1 797 635

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

კ. მეტრეველი

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ამონაგები	13	36 164 393	36 947 226
გაყიდვების თვითღირებულება	14	(22 983 270)	(24 125 510)
დაქირავებულ პირთა გასამრგელოების ხარჯი	16	(3 093 944)	(2 404 365)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	15	(6 883 813)	(6 712 523)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	16	(10 000)	(10 000)
საკონსულტაციო ხარჯი	16	(211 864)	(183 051)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	16	(10 075)	(8 875)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	16	(23 362)	(18 117)
ოჯარის ხარჯი	16	(469 966)	(282 729)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	16	(46 192)	(47 659)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	16	(172 664)	(172 916)
სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(341 541)	(312 048)
საოპერაციო მოგება		1 917 702	2 669 434
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	18	(38 849)	(156 235)
საპროცენტო შემოსავალი	19	141 641	124 932
საპროცენტო ხარჯი	19	(170 152)	(134 274)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(104 477)	(55 258)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		1 742 865	2 448 599
მოგების გადასახადი	17	(570 733)	(650 964)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		1 172 132	1 797 635
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1 172 132	1 797 635

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:



პ. მეტრეველი

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	6 647 589	6 647 589
წმინდა მოგება	1 797 634	1 797 634
	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	1 797 634	1 797 634
გაცემული დივიდენდი	(3 762 013)	(3 762 013)
2023 წლის 31 დეკემბერი	4 683 210.09	4 683 210
წმინდა მოგება	1 172 132	1 172 132
	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	1 172 132	1 172 132
გაცემული დივიდენდი	(3 167 684)	(3 167 684)
2024 წლის 31 დეკემბერი	2 687 658	2 687 658

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

კ. მეტრეველი

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	6 647 589	6 647 589
წმინდა მოგება	1 797 634	1 797 634
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-
გაცემული დივიდენდი	(3 762 013)	(3 762 013)
2023 წლის 31 დეკემბერი	4 683 210.09	4 683 210
წმინდა მოგება	1 172 132	1 172 132
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-
გაცემული დივიდენდი	(3 167 684)	(3 167 684)
2024 წლის 31 დეკემბერი	2 687 658	2 687 658

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

კ. მეტრეველი



შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	Note	31/12/2024	31/12/2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		1 030 491	1 797 634
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		979 150	1 071 653
- გადასახადები		570 733	650 964
- ცვეთა	5	172 664	172 916
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		26 752	-
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	18	38 849	156 235
- წმინდა ფინანსური ხარჯი		170 152	91 538
ცვლილებები საშუალო კაპიტალში		2 014 286	1 870 909
- სავაჭრო და სხვა მოცუვადიანი მოთხოვნები	6	537 842	(1 072 193)
- მრავლები	8	(120 998)	(991 095)
- სავაჭრო და სხვა მოცუვადიანი ვალდებულებები	11	1 531 430	3 744 331
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(13 988)	189 866
- გრძელვადიანი მოთხოვნები	7	80 000	
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		4 023 927	4 740 195
- გადახდილი პროცენტები		(170 152)	(134 274)
- გადახდილი მოგების გადასახადი	17	(570 733)	(650 964)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3 283 042	3 954 957
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(101 316)	(361 997)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(101 316)	(361 997)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- სასესხო ვალდებულების ზრდა	12	1 393 555	526 632
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	12	(1 419 624)	(154 483)
- გადახდილი დივიდენდები		(3 167 684)	(3 762 013)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(3 193 753)	(3 389 863)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)		(12 027)	203 096
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი		134 076	87 215
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება		(38 849)	(156 235)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		83 201	134 076

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: კ. მეტრეველი

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	Note	31/12/2024	31/12/2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		1 030 491	1 797 634
კორექტირებები არაფულადი მუშასაქმებისთვის და ბარჯებისთვის:			
- გადასაცემი		979 150	1 071 653
- დედა		570 733	650 964
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	5	172 664	172 916
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		26 752	-
- წმინდა ფინანსური ხარჯი	18	38 849	156 235
		170 152	91 538
ცვლილებები საშუალო კაპიტალში		2 014 286	1 870 909
- სავაჭრო და სხვა მოცუვადიანი მოთხოვნები	6	537 842	(1 072 193)
- მარაგები	8	(120 998)	(991 095)
- სავაჭრო და სხვა მოცუვადიანი ვალდებულებები	11	1 531 430	3 744 331
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(13 988)	189 866
- გრძელვადიანი მოთხოვნები	7	80 000	
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		4 023 927	4 740 195
- გადახდილი პროცენტები		(170 152)	(134 274)
- გადახდილი მოგების გადასახადი	17	(570 733)	(650 964)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3 283 042	3 954 957
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(101 316)	(361 997)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(101 316)	(361 997)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- სახესხო ვალდებულების ზრდა	12	1 393 555	526 632
- სახესხო ვალდებულებების დაფარვა	12	(1 419 624)	(154 483)
- გადახდილი დივიდენდები		(3 167 684)	(3 762 013)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(3 193 753)	(3 389 863)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)		(12 027)	203 096
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი		134 076	87 215
გამავლითი კურსის უფექტისგან გამომწვეული ცვლილება		(38 849)	(156 235)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		83 201	134 076

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

კ. შეტრეველი



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვეერესტი 2010“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2010 წლის 21 სექტემბერს, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, სარეგისტრაციო ნომრით 400008629. კომპანიის ძირითადი საქმიანობა კვების პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით. კომპანია იმპორტირებული კვების პროდუქტების დისტრიბუციას ახორციელებს ქ. თბილისში და საქართველოს რეგიონებში. საქონლის გადაზიდვა და დისტრიბუცია ხორციელდება საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით. კომპანიას შეძენილი აქვს ექსკლუზიური უფლება საქართველოს ტერიტორიაზე „შირხოფერი“-ს სავაჭრო ნიშნით საქონლის რეალიზაციაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან:

კობა მეტრეველი -წილის 35%

ლაშა ბაბუაძე -წილის 35%

მამუკა ჯაფარიძე -წილის 30%

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლები არ გააჩნია. კომპანიის მმართველობის ორგანო პარტნიორთა კრება.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია წარმოდგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული. მონაცემები დამგვრალებულია ერთ ლარამდე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ".

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არა აღნიშნული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს 30-ე განყოფილების "ოპერაციები უცხოურ ვალუტაში" მოთხოვნის შესაბამისად.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითად საშუალებებს ძირითადი საშუალების ცვეთის გამოთვლა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რაც გულისხმობს პირველ წელს ცვეთა ერიცხება აქტივებს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ წლებში საბალანსო ღირებულებით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი	ცვეთის %
საოფისე ტექნიკა და კომპიუტერული მოწყობილობა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება, აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც 10 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სათადარიგო ნაწილებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივებისა და ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს სესხებად და მოთხოვნებად აღრიცხავს.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებათა კატეგორიაში აღრიცხავს.

ფინანსური აქტივები

ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება იმ გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია გახდა შესაბამისი ხელშეკრულების მხარე. კომპანია ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, როდესაც ვადა გასდის მის უფლებას აქტივისგან მისაღებ ფულად ნაკადებზე, ან კომპანია გადასცემს ასეთ ფულად ნაკადებს ხელშეკრულებით, რომლითაც შესაბამისი აქტივის ფლობის რისკები და სარგებელი თითქმის სრულად გადაეცემა სხვა მხარეს. გადაცემული აქტივის ნებისმიერი ნარჩენი სარგებელი აღირიცხება, როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება. კომპანია ჩამოწერს ფინანსურ ვალდებულებას, მაშინ როდესაც შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდა, გაუქმდა ან ვადა გაუვიდა. ფინანსური აქტივისა და ვალდებულების განაშთავით აღიარება და შესაბამისი წმინდა ნარჩენი ღირებულების ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, რომ ჩაითვალოს აღიარებული მოცულობა და აპირებს მისი წმინდა ღირებულებით გამოყენებას, ან აპირებს ერთდროულად გაყიდოს აქტივი და შეასრულოს ვალდებულება.

კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს. მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცილება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით. საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე.

კომპანია აკლასიფიცირებს არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებებში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და მცირდება ნებისმიერ, ტრანზაქციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯით.. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს/კრედიტებს, მიღებულ ავანსებს და მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

საოპერაციო იჯარები

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანიას იჯარით აქვს აღებული სასწყობო ფართები. მეიჯარის მხრიდან არ ხდება კომპანიისთვის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა. კომპანიამ გადაწყვიტა იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით.

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი არის უწყვეტი პერიოდი, რომელშიც მოიჯარე გააფორმა ხელშეკრულება აქტივის იჯარასთან დაკავშირებით, და არის ნებისმიერი შემდგომი ვადები, როდესაც მოიჯარეს შეუძლია განაგრძოს აქტივის იჯარა დამატებითი გადახდით ან მის გარეშე.

სესხები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე და შესულია ფინანსურ ხარჯებში. ნასესხები სახსრები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები თუ კომპანიას არ აქვს ანგარიშსწორების საანგარიშო თარიღიდან სულ მცირე 12 თვით გადავადების უპირობო უფლება.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრუდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ამონაგები

კომპანიის შემოსავლები ფორმირებულია პროდუქციის საბითუმო რეალიზაციიდან. პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების მიხედვით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობით, ასევე ვადაზე ადრე გადანდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობებით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება. კომპანია საბითუმო რეალიზაციის დროს იბრუნებს ვადაგასულ პროდუქციას. ამონაგების აღიარების დროს კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ უკან დაბრუნებებს, რომლითაც ამცირებს აღიარებულ ამონაგებს.

ფინანსური შემოსავალი და მოგება(ზარალი)/საკურსო სხვაობიდან

ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის მოგება(ზარალი) საკურსო სხვაობიდან მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც შემოსავალი ან ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

სხვა შემოსავლის აღიარება

გაწეული მომსახურებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, კომპანიაში სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურების გაწევასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

სახელფასო განაცემები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;

- ▶ წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;

- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განხორციელოს.

კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები, ექვემდებარება საქრთველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

დივიდენდების აღიარება ხდება მფლობელების კაპიტალის შემცირების სახით მათი გამოცხადების პერიოდში. დივიდენდები, რომლებიც ცხადდება საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, აღირიცხება, როგორც ანგარიშგებისთარიღის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება ანგარიშგებაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექს“-ში მოგების გადასახდის დაბეგვრის რეფორმის შესახებ, რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელის“ სახელით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. თუ მოხდა მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, როლებიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩაქარი, ხარჯები რომლებიც არა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობათა, ავანსების გადახდა ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებზე და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომლებიც წარდგენილია „ქონების გადასახადი და სამემოსავლო გადასახადი“ „სხვა ხარჯების“ და „ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებელის“ მუხლში, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს გადასახდელი საგადასახადო ორგანოში როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ-ს ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურების მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით, როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია არის რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა, მიუხედავად იმისა მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა. ეს შეიძლება იყოს:

- ოპერაციები კომპანიასა და მის ძირითად მესაკუთრეებს შორის;

- ოპერაციები კომპანიასა და სხვა კომპანიებს შორის, როდესაც ორივე კომპანიას აკონტროლებს ერთი და იგივე პირი;

- ოპერაციები, რომლის დროსაც კომპანია ან პირი, რომელიც აკონტროლებს კომპანიას უშუალოდ თვითონ ეწევა ისეთ ხარჯებს, რომლის თავის თავზე აღება, სხვა შემთხვევაში მოუწევდა კომპანიას.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები ხორციელდება იმ პირობების ანალოგიურად, რომელსაც „გამოწვევი ხელის მანძილის“ პრინციპი ითვალისწინებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ მენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. მიხედვად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, მაგრამ ხელმძღვანელობა დაეწმუნებულია, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია უნდა იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს რეზიდენტ ბანკებში (სს “თიბისი ბანკი” და სს “საქართველოს ბანკი”) მიმდინარე ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში, აშშ დოლარში და ევროში არსებულ ფულად სახსრებს.

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

	31/12/2024	31/12/2023
ფული საღაროში ლარი	21 636	18 204
ფული საბანკო ანგარიშებზე ლარი	61 436	115 873
ფული საბანკო ანგარიშებზე ვალუტა	130	-
	83 201	134 076

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	11 176 167	11 714 409
მისაღები პროცენტები	643 431	501 790
	11 819 597	12 216 198

7. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
გაცემული სესხები	1 158 820	1 238 820
	1 158 820	1 238 820

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს სათადარიგო ნაწილებს და საწვავ-საცხებ მასალებს, რომლის ძირითადი სახეობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
ნედლეული და მასალები	2 393 910	2 284 296
საწვავ-საცხები მასალები	17 436	6 052
	2 411 346	2 290 348

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	275 540	1 059 444	38 692	1 373 676
შესყიდვა	4 118	435 432	-	439 549
გასვლა	-	78 167	-	78 167
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	279 658	1 416 709	38 692	1 735 059
შესყიდვა	10 263	91 612	-	101 874
გასვლა	9 673	48 286	-	57 960
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	280 248	1 460 034	38 692	1 778 974

დაგროვილი ცვეთა

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	152 520	453 331	29 787	635 639
ცვეთის ხარჯი	27 487	111 493	1 693	140 673
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	78 167	-	78 167
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	180 007	486 658	31 481	698 145
ცვეთის ხარჯი	27 487	111 493	1 693	140 673
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	9 115	21 534	-	30 649
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	198 379	576 617	33 174	808 169

საბალანსო ღირებულება

2022 წლის ბოლოს	123 020	606 112	8 905	738 037
2023 წლის ბოლოს	99 652	930 051	7 212	1 036 914
2024 წლის ბოლოს	81 869	883 417	5 519	970 804

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

10. არამატერიალური აქტივები.

არამატერიალური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად.

	სხვა	ჯამი
2022 წლის ბოლოს	920 800	920 800
შემოსავლა		-
გასვლა		-
2023 წლის ბოლოს	920 800	920 800
შემოსავლა		-
გასვლა		-
2024 წლის ბოლოს	920 800	920 800

	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია		
2023 წლის ბოლოს	739 518	739 518
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	31 991	31 991
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია		-
2023 წლის ბოლოს	771 509	771 509
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	31 991	31 991
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია		-
2024 წლის ბოლოს	803 500	803 500

	სხვა	ჯამი
საბალანსო ღირებულება		
2023 წლის ბოლოს	181 282	181 282
2023 წლის ბოლოს	149 291	149 291
2024 წლის ბოლოს	117 300	117 300

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო ვალდებულებები	11 742 606	10 208 664
სხვა ვალდებულებები	1 310	3 822
	11 743 915	10 212 486

12. სესხები

	31/12/2024	31/12/2023
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	1 718 675	1 744 744
	1 718 675	1 744 744

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

13. შემოსავალი

ამონაგები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	36 955 965	36 947 226
	36 955 965	36 947 226

14. რეალიზირებული მარაგების თვითღირებულება

	31/12/2024	31/12/2023
რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება	23 821 033	24 125 510
	23 821 033	24 125 510

15. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

	31/12/2024	31/12/2023
რეკლამის და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	6 883 813	6 712 523
	6 883 813	6 712 523

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
შრომის ანაზღაურება	3 093 944	2 404 365
ცვეთა და ამორტიზაცია	172 664	172 916
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	10 075	8 875
საკონსულტაციო ხარჯი	221 864	193 051
რემონტის ხარჯი	100 657	86 749
დაზღვევის ხარჯი	63 498	-
ბანკის მომსახურება	13 107	16 932
წარმომადგენლობითი ხარჯები	518	2 087
იჯარის ხარჯი	469 966	282 729
ტრანსპორტირების ხარჯები	-	47 659
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	146 459	201 272
კომუნიკაციის ხარჯები	19 885	14 610
კომუნალური ხარჯები	3 478	3 507
მივლინების ხარჯი	8 250	360
საკანცელარიო ხარჯი	9 053	4 648
	4 333 417	3 439 760

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

17. მოგების გადასახადის ხარჯი

	31/12/2024	31/12/2023
მოგების გადასახადის ხარჯი	570 733	650 964
	570 733	650 964

18. მოგება/ზარალი (საკურსო სხვაობიდან) -წმინდა

	31/12/2024	31/12/2023
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება (ზარალი)	(38 849)	(156 235)
	(38 849)	(156 235)

19. ფინანსური შემოსავალი/დანახარჯები

ფინანსური შემოსავალი/დანახარჯები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2024	31/12/2023
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	141 641	124 932
სულ ფინანსური შემოსავლები	141 641	124 932
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	170 152	134 274
სულ ფინანსური დანახარჯები	170 152	134 274
ნეტო ფინანსური შემოსავლები (დანახარჯები)	(28 511)	(9 342)

20. ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია ღებუა სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოსატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

20. ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან-სესხებთან მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორე ვალუტის ფასის ცვლილებებით. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

ქვემოთ არის მოცემული უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია ხელმძღვანელობისთვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო რისკის სტრუქტურა 2024 წლის 31 დეკემრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	83 071	130	0	83 201
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	11 176 167	0	0	11 176 167
გაცემული სესხები	7	1 158 820	0	0	1 158 820
მისაღები პროცენტები	6	501 790	0	0	501 790
სულ ფინანსური აქტივები		12 919 848	130	0	12 919 977

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სესხები	12	825637	0	893038	1 718 675
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	11 742 606	0	0	11 742 606
სულ ფინანსური ვალდებულებები		12 568 243	0	893038	13 461 281

ღია სავალუტო პოზიცია			130	-893038	-541304
----------------------	--	--	-----	---------	---------

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო რისკის სტრუქტურა 2023 წლის 31 დეკემრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	134076	0	0	134076
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	11714409	0	0	11714409
გაცემული სესხები	7	1238820	0	0	1238820
მისაღები პროცენტები		501790	0	0	501790
სულ ფინანსური აქტივები		13589094	0	0	13589094

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სესხები		0	0	1744744	1744744
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	9334025	365347	509292	10208664
სულ ფინანსური ვალდებულებები		9334025	365347	2254036	11953408

ღია სავალუტო პოზიცია			-365347	-2254036	1635687
----------------------	--	--	---------	----------	---------

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისათვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგება/ზარალი და კაპიტალზე გავლენა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
	ზეგავლენა	ზეგავლენა
	მოგება/ზარალი	მოგება/ზარალი
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	26	(73069)
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	(26)	73069
ევროს გამყარება 20%-ით	(178608)	(450807)
ევროს დასუსტება 20%-ით	178608	450807

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/ დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში). კომპანია მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკს მომხმარებლებისთვის საკრედიტო ლიმიტების დაწესებით და ადნინშული ლიმიტების მონიტორინგით.

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში კომპანია ახორციელებს დებიტორული დავალიანების ვადიანობის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

კომპანიის მენეჯმენტი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინების საფუძველზე ანაზღაურებას, განიხილება თითქმის შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, კომპანია გამოცდილებით იმედოვნებს, რომ ბევრი მომწოდებელი ერთდროულად არ მოითხოვს ვალდებულებების დაფარვას.

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე ფინანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს.

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით,

20. ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა რისკების მართვა (გაგრძელება)

რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და ა.შ.. საბაზრო მოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი
- კონტროლების და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასანეიტრალებლად საჭირო კონტროლების პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

21. კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა.

_ გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგება კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;

_ შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;

_ შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია მსს ფასს -ის 33-ე განყოფილებაში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებს და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება პარტნიორებსა და დირექტორისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობს წილს საწარმო, საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოჯახის წევრები.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დაკავშირებული მხარეებთან ოპერაციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მაკონტროლებელ მხარესთან განხორციელებული ტრანზაქციები და დაუფარავი ნაშთები:

	დაუფარავი ნაშთი	დაუფარავი ნაშთი	ტრანზაქციის ღირებულება	ტრანზაქციის ღირებულება
	31/12/2024	31/12/2023	31/12/2024	31/12/2023
გადასახდელი დივიდენდები			3167684	3762012

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და დაუფარავი ნაშთები:

	დაუფარავი ნაშთი	დაუფარავი ნაშთი	ტრანზაქციის ღირებულება	ტრანზაქციის ღირებულება
	31/12/2024	31/12/2023	31/12/2024	31/12/2023
გაცემული სესხები	1158820	1238820		
მისაღები პროცენტები	643430	501789		
სავაჭრო ვალდებულებები	1000	71000		
საპროცენტო შემოსავალი			141641	124932
მომსახურების ხარჯი			(687600)	(447600)

სესხის გაცემა მოხდა საბაზრო პირობებით. დაკავშირებული მხარისგან ხდება საიჯარო მომსახურების შეძენა საბაზრო პირობებით, რომლიც არის კონტროლირებადი მხარის მიერ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნის დაფარვის ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული შეთანხმების საფუძველზე. მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი. 2024 წელს მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საეჭვო ვალდებულების ხარჯები არ აღიარებულა (2023 წელს 0 ლარი). მაკონტროლებელი მხარის მიმართ ვალდებულების დაფარვა ხდება შეთანხმების საფუძველზე.

ღირეჭტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	დაუფარავი ნაშთი	დაუფარავი ნაშთი	ტრანზაქციის ღირებულება	ტრანზაქციის ღირებულება
	31/12/2024	31/12/2023	31/12/2024	31/12/2023
გადასახდელი ხელფასები	0	0		
ხელფასის ხარჯი			(16156)	(16025)

23 განუსაზღვრელი ვალდებულებები

კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები კერძო სამართლის სუბიექტებთან. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, სანქციები, საურავები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

შპს ევერესტი 2010 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის (ლარში)

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი ჰქონდა არამაკორექტირებელ მოვლენას: 2025 წელს კომპანიამ პარტნიორებზე დივიდენდების სახით გასცა დივიდენდი 810 228 ლარის ოდენობით.

25. მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა, რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებსა და ვალდებულებებზე.

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30 სექტემბერს.

შპს ევერესტი 2010
მმართველობის ანგარიშგება

2024

სარჩევი

სარჩევი

შესავალი	2
წარდგინება დირექტორისაგან	2
კომპანიის შესახებ	3
რას ვსაქმიანობთ	3
სამომავლო გეგმები	3
ინფორმაციული უსაფრთხოება	4
კომპანიის პოლიტიკები	4
პარტნიორთა საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა.....	6
ჩვენი გუნდი.....	6
ჯანსაღი გარემო შრომისათვის	6
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე.....	7
ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები.....	7

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „ევერესტი2010“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ „ევერესტი2010“-ში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს „ევერესტი 2010“ შეიქმნა 2010 წლის 21 სექტემბერს და მას შემდეგ წარმატებით ახორციელებს კვებითი პროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობას, დისტრიბუციას. დამფუძნებლები 2010-2024 წლებში იყვნენ:

კობა მეტრეველი, 01019016416 35%

ლაშა ბაბუაძე, 01030004446 35%

მამუკა ჯაფარიძე, 62007000417 30%

კომპანიის საქმიანობა- სადისტრიბუციო წესით ვაჭრობა ხორცპროდუქტებით და სხვადასხვა დასახელების საქონლით. იმპორტიორი ქვეყნებია:

ავსტრია, ესპანეთი, ლატვია, შრი-ლანკა, საბერძნეთი.

ექსლუზიური მომწოდებლები:

შპირნჰოფერი, ჰეილისი; გიაგუარო; გამმა; მაკკარტერი;

რას ვსაქმიანობთ

შპს „ევერესტი 2010“ სადისტრიბუციო საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე.

საწყობები გვაქვს:

ქ.თბილისი . თორნიკე ერისთავის ქ 1

ქ.თბილისი აკ.წერეთლის გამზ 1

ქ.ბათუმი ,ვარშანიძის ქუჩა 136

ქ.ქუთაისი წერეთლის 274

ქ.თელავი ,ფიროსმანის 8.

ქ, ახალციხე, ალ.ყაზბეგის ქ 37

პროდუქციის შეძენისას მომხმარებელს შეუძლია საფასური გადაიხადოს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდოანგარიშსწორებით,

სამომავლო გეგმები

შპს „ევერესტი 2010“ აქტიურად ზრდის სარეალიზაციო არეალს და უახლოეს მომავალში განზრახული გვაქვს სადისტრიბუციო ქსელის გაფართოება სამეგრელო-ზემო სვანეთის მიმართულებით, ასევე შიდა ქართლში და ქვემო ქართლში.

ინფორმაციული უსაფრთხოება

21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მომატებული კიბერ შეტევები და „ფიშინგის“ მცდელობები. დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, შესაბამისად კომპანია არ ივიწყებს მოსალოდნელ თავდასხმის მცდელობებს და ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს აწესებს კომპანიის მასშტაბით. დაცვის მექანიზმები მოიცავს უახლეს და ცნობილ პროდუქტებს, რომელთა საშუალებით ხდება, როგორც შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისგან, ისე სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვა ქსელის შიგნით. არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები, რომლის მეშვეობით კონტროლდება ყოველი მოვლენა, რაც ხდება კომპანიისათვის მნიშვნელოვან მოწყობილობებზე და მომხმარებლების პერსონალურ კომპიუტერებზე. ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ტარდება თანამშრომელთა ცნობიერების ასამდღებელი ტრენინგები, ამას გარდა ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია მკაცრად გაწერილი ინსტრუქციებით, როგორ მოიქცეს ნებისმიერ საეჭვო სიტუაციაში.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის თავში გვევლინება დირექტორი კობა მეტრეველი. ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კომპანიის პოლიტიკები

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;

ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის

პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;

დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომფხვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;

ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;

აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;

ნარკოდამოკიდებულება;

პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის პოლიტიკა

ინფორმაციული რესურსების გამოყენებაზე პრევენციული და დეტექციური კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ინფორმაციის არქიტექტურული ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც გულისხმობს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომით ინფორმაციის კლასიფიცირებას, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების დახარისხებას კონფიდენციალურობის დონის მიხედვით, წვდომისა

და გამოყენების სხვა წესების შემუშავებას. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, ინფორმაცია იყოფა კონფიდენციალურობის ოთხ კატეგორიად, ესენია - „საჯარო“, „შიდა მოხმარების“, „კონფიდენციალური“ და „სრულიად საიდუმლო“. ინფორმაციის მართვა რეგულირდება, აღნიშნული დონეების მიხედვით და მოიცავს ინფორმაციის მარკირების, გადაადგილების, წვდომის მინიჭების, შენახვისა და განადგურების წესებს.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა.

სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

პარტნიორთა საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

კომპანიის წილების მფლობელების-პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია კომპანიის წესდებით, რომელიც წარმოადგენს საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტს. პარტნიორთა კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით. რიგითი პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს „ევერესტი 2010“-ში დასაქმებულია დაახლოებით 130-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ცვდილობთ შეექმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური

ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „ევერესტი 2010“-ის მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ

თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, კომპანია ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო. შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი კობა მეტრეველი.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

/კ. მეტრეველი/

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, კომპანია ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო. შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი კობა მეტრეველი.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

/კ. მეტრეველი/

